ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

არჩევნები 2024

- არეგულირეთ კენჭისყრის შენობაში შემომსვლელ ამომრჩეველთა ნაკადი.
- კენჭისყრის შენობაში დაშვების მიზნით, სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს თუ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას;
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (რომლებსაც არ აქვს ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი);
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტს.
- მარკირების შესამოწმებელი ხელსაწყოს (ულტრაიისფერი ფარანი) გამოყენებით შეამოწმეთ ხომ არ აღენიშნება ამომრჩეველს ხელზე მარკირება.

გახსოვდეთ!
ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

შემოწმების შედეგების გათვალისწინებით:

- თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. განუმარტეთ ამომრჩეველს კენჭისყრის ოთახში დაშვებაზე უარის თქმის მიზეზი, ხოლო ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია აცნობეთ კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში შეტანის მიზნით.
- თუ ამომრჩეველი აკმაყოფილებს კენჭისყრაში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს, მიუთითეთ მივიდეს ნებისმიერ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. თუ ყველა სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, მიზეზის განმარტებით, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩევლის შესვლა.

გახსოვდეთ!
ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შეუშვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. მიუთითეთ ამომრჩეველს, კენჭისყრის ოთახში მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო.